




# თეატრი სსოპრატა



ავთჯვრთ სალიცურაჯვრთ აერნალი

მრა, 11 მინი.

ჰე 10.—1914 წ.



ო. ბაქრაძე (1852—1904)

გარდაცვლებიდან 10 წ. შეს-  
რულების გამო



სათათბიროს დარბაზიდან დეპუტატ ჩხენკელის ძალით გაყვანა



ირ. ევდომეილის საღამო

ოთხ განყოფილებად.

დასაწყისი საღამოს 8<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზე.

ქ. ი. შუბალაშვილის სახ. სახ. სახლ. არს.

ქართ. წარმ. მმართველ. წრის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ

# წლიური საზოგადო კრება

შესდგება ოთხშაბათს, 14 მაისს, სახალხო სახ-  
ლის შენობაში დილის 11 საათზე.

განსახილველი საგნები:

- 1) წლიური ანგარიში,
- 2) მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა,
- 3) ახალი წევრების მიღება,
- 4) გამგეობის და სარეგისტრაციო კომისიის ანგარიშები.

(1—1)

- 1) გაუგებრობა, შეუღწელობა თუ ბოროტმოქმედება? მუთაური 1
- 2) რკალები, —რელიგია ზეკა-ცოდისა, ა. შაჰაფისა 2
- 3) პირველი გამოსვლა, ეფ. მესხისა 3
- 4) ოია კარი, შაფა დადახისა 5
- 5) ჩემო კარგო ქვეყანავ (ლექ-სი), გ. კირვალიძისა 5
- 6) ისაკ ლევიტანი დ. კლდისანიძისა 6
- 7) სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი—I. ევ. ნინოშვილი; II. იოსებ ბაქრაძე, ი. ასისა 8
- 8) ადამ მიტკვევიჩიდან (ლექსი), გ. ლეონიძისა 8
- 9) სიტყვის თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი დემუტატები (სურათები) 9
- 10) იგი არ არის მკვდარი!.. ასისა 9
- 11) გზაში (სილუეტები), სპირიდონ შინაშვილისა 10
- 12) მეუფე ურიათა, (გ. რ-სა) თარგ. კ. მესხისა 12
- 13) ქართული სახალხო თეატრის ისტორია, გ. ჯაფარიძისა 14
- 14) ქართველ მწერალთა წერილები (მოგონება), —ილ. ჭავჭავაძე, —სოფ. მგალობლიშვილისა 15
- 15) წერილი ამბები 16

თბილისის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ

## ქართველ სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა

შესდგება ქ. თბილისს ქართულს თეატრში კვირას, მაისის 25-ს, 1914 წ., დღის 12 ს.

ყრილობაში მონაწილეობა გადაამწყვეტი ხმით შეუძლიანთ:

- 1) ქართ. დრამატ. საზოგადოებათა წარმომადგენელთ.
- 2) ქართ. დრამატ. წრეების და ჯგუფების წარმომადგენლებს.
- 3) მსახიობთა და სცენის მოყვარეთ.
- 4) სცენის მოღვაწეთ, რომელთაც-გი რამე დასახელება მიუძღვით თეატრისადმი, ან რამე დამოკიდებულება აქვთ მასთან.
- 5) მომხსენებელთ, რომელთაც რამე მოხსენებას წარმოადგენენ პროგრამაში აღნიშნულ კითხვებზე.
- 6) მუსიკოსთ, მოქანდაკეთა და მხატვართ.
- 7) დრამატურგებსა და მთარგმნელებს.
- 8) ბეჭდვით ორგანოთა წარმომადგენლებს.
- 9) დრამატულ საზოგადოებათა წევრებს.

ყოველი წევრი იხდის: მსახიობნი და სცენის მოყვარენი—1 მან., დანარჩენნი—2 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ პირადათ და წერილობით თბილისის დრამატ. საზოგად. კონტროლისთან არსებულს მიმღებ კომისიაში მაისის 20-მდის.

ამ დრომდისვე მიიღება ყველა მოხსენებანი.



№ 10

წელიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალ კვირამერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება და სახ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილისა (**საზოგადოებრივი** სტამბაში). მისამართი: **თიფლისი, რედ. „თეატრი და სცენა“ იოს. იმედაშვილი.**

ხელ-მოწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელნაწერები საპრობისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 10

კ ვ ი რ ა, ი მ ა ი ს ი

1914 წ.

II მაისი.

**გაუგებრობა, შეუგნებლობა თუ ბოროტმოქმედება?**

გასვარა, შევიბოლოა წმიდა სამეუფო უწმიდესი ტაძრისა...

ფარისევლობა, ბედოვკათობა, უსირცხვილობა,—აი რითი ხასიათდება ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის ყოფა-ცხოვრება სიტყვით მშობლიური კულტურის აყვავებაზე გაჰკვივან, საქმით-კი სწორედ თვითონ ელვის სისწრაფით ავრცელებენ საკუთარს გასანადგურებლად უცხო კულტურას, — ენას, მწერლობას, ზნეს, ჩვეულებას, — სცენაზე, ოჯახში, საზოგადოებაში, — სად არ გინდათ...

სიტყვით გაჰკვივან — მამა-პაპათა სისხლით გაბოხიერებული მიწა-წყალი ხელიდან გვეცლება, უცხონი გვიბატონდებიან, ჩვენს დედა ქალაქში ჩვენ აღარ ვვაზოგინებენ, საქალაქო საქმეებიდან გვდევნიან, და იმავე დროს ვალში შესატანად ჩამოტანლი ფულსებს ნარდლოტო-კარტში ავებენ რამდენიმე წუთის განმავლობაში, ანუ გაუთავებელ სადღო-ვახშმებში ჰჟღანგვენ, და როდესაც ბანკში დაგირავებულ მამულს საჯარო ვაჭრობიდან უცხო, ჩამოსახლებული ყიდულობს, ქალაქში ბინავდება და მღვთმარეობის ბატონი ხდება, ჩვენი ვითომდა ქირისუფალნი, იმავე კლუბის თუ სხვა საზოგადო დაწესებულებათა მესვეურნი, ნიანგის ცრემლებს აფრქვევენ... იმუშტებიან!..

მშობლიურ კერას მოწყვეტილი, სამშობლო კულტურის არ მცნობნი და არარად ჩამუდგები, ე. ი. სულიერად გაღატაკებულნი, ნიანგითერად უკვე გაკატრებულნი ანუ კატრობის გზას შემდგარნი, ზნეობრივადაც გაკატრების

გზას დადგენენ და... თავვეე უფსკრულისკენ მიქანობენ!..

რა სახელი შეიძლება ვუწოდოთ, თუ არა ზნეობრივი კატრება იმ, უცაცრაული პასუხია, „საოჯახო საღამოს“ (მეორე ნაწილს), რომელიც მისს „ახალმა კლუბმა“ გამართა ქართულ თეატრში!..

ჟინის აღმძვრელი ცეკვა — ლოშნა-ხვევანა, სქესიურ ვნებათა გამაღიზიანებელი ტორდალი, გაშიშვლებული უსირცხვილობა, უტიფრობა, — კურტუზისა, ბარძაყებისა და სახის უხამსი მიმოხვრა, ნუ თუ ხელოვნება ჰგონიათ და შესაწყნარებელია?!

ასეთი ზნეობრივი ლოთობანობა, თავხსნილობა ნუთუ ცოტად თუ ბევრად თავმოყვარე და თავის ღირსების ფასმდებ საზოგადოებას შეშვეენს?!

რას შვრებით, ბატონებო, საით მისდინხართ? ნუ თუ ცოლი, შვილი, და, დედა არ გებრალდებთ და მათს სათუთ გრძნობას ანგარინს რაღა უწევთ?!

აღტომ არ მოიგონებთ, რომ ხშირად ზნეობრივ სისპეტაკეზე ჰღალადებთ და იმავე დროსკი... სცენიდან რას გვიჩვენებთ?!

იქნება სთქვათ, ცხოვრების ანარეკლი გიჩვენეთო! — სტყუით, — ჩვენი ცხოვრება ჯერ აგრე არ შეცვლილა...

დაე, თუ სატახტო ქალაქთა დამყაყებულო, გარყვნილებაში ჩაფლული მაღალი წოდება, ტემირებ-მოდუნებული ფლოუნდარი საზოგადოება ასეთი გარყვნილებით სტკება, მათვე ჰქონდეთ სულის საზოდოდ, ჩვენ რა ცოდვა მივდივით; ჩვენს სამშობლო სცენაზე ასეთ წუშვეს რომ ამდორებთ?..

„ახალი კლუბი“ თუ ვერა ჰგრძნობს ასეთ



„სადამოების“ უხამსობას, ქართ. დრამ. სა-  
ზოგადოება მაინც რატომ ფხიზლად არ სდა-  
რაჯობს, რომ თვის წმიდა ტაძარში ასეთი უწ-  
მაწური, გამხრწნელი მანქვა-გრეხვა არ გამარ-  
თონ ხოლომე?..

თუ მაინცა და მაინც არ დაუშლიათ,  
დაე, ჩვენმა, გადაგვარების გზაზე შემდგარმა,  
„მოაწინავე წოდებამ“ მხოლოდ თავის საკუ-  
თარ, კერძო ოჯახებში მოაწყოს მსგავსი „სა-  
დამოების“, ვნებათა აღმძვრელი ცეკვა—სხეუ-  
ლის კუნთთა სასირცხვიო მიმოხვრით... აღბად  
მისი მოღუნება, უაზრო ცხოვრების შედეგია  
და მასვე ჰქონდეს...

სწორედ არ იცი, ჩვენი საზოგადოების  
ასეთი მოღალატე გზით სიარული რითი ახსნა,—  
გაუგებრობით, შეუგნებლობით თუ ბოროტ-  
მოქმედებით?

რა მიზეზიც უნდა იყოს, სულ ერთია,  
ოღონდ ჩვენი თეატრის სამსხვერპლო-კი ყო-  
ველგვარ სიბილწისგან დაცულ იქნეს...



# რ კ ა ლ ე ბ ი

## რელიგია ზეკაცობისა

დღეის ხელოვნებამ დაწვრილმანებულ  
ადამიანები თითქოს უკუ აგდო და, მის ნაც-  
ვლად, ჩვენი პოეტები ცოცხალ სიმბოლოდ  
ბუნებას იღებენ თვისი აქტიურის დასაწყისით.

მაგრამ ჩვენი მწერლობა ადამიანისაგან  
მაინც ვერ განთავისუფლდა და, ამა თუ იმ  
სახით, იღუმალი ლტოლვა ამ ადამიანისადმი  
მაინც გამოსჭევის.

მატერის ბუნებას მაინც იღუმალ სწყუ-  
რია იხილოს მოძრავი და მოქმედი ადამიანი,  
გაშალოს მისი წადილი და ტრალედია.

და ამ მიზანს იგი ორის გზით აღწევს:  
ან მითოლოგიას და ძველ გმირთა შესახებ  
თქმულებას მიმართავს და ამ დროს თვალწინ  
გვიდგება სულით ამაყი და ხასიათით მტკიცე  
ქართველი, რომლის სიტყვა და ზრახვა ცოც-  
ხალ მოქმედებაში გადადის, ან და იგი ფანტა-  
ზიით ქმნის ადამიანის არა დღეის მკრთალ  
სახეს, არამედ მის სასურველ ხატს.

აი, ეს წყურვილი დამსხვრეულ კერპის

აღდგენისა—ადამიანის მთლიანი და მტკიცე  
ინდივიდუალობის ხილვისა დაედვა საფუძვლად  
მისწრაფებას ზეკაცობისადმი.

თქვენ ხშირად შეამჩნევთ ამ ლტოლვას  
ზეკაცისადმი დღეის პოეზიაში; მგოსანს ხში-  
რად სწყურია, ან თვით გარდიქნეს ზეკაცად  
ან სხვანი გარდაქმნას ასეთად.

და იგი ეძახის, მოუწოდებს ამ ახალს და  
მის წინ იყრის მუხლებს, მასზე ლოცულობს  
რელიგიურის ექსტაზით შეპყრობილი.

საინტერესოა, რომ ამ ახალი ძლიერი ინ-  
დივიდუალის სპეციფიური თვისებანი თითქმის  
არავის შეუმცნია და განუმარტავს; მაგრამ მხა-  
ტერულ ინტუიციას იგი ყინით მოწყურებია.

აქ თითქმის გაჩნდა ახალი რელიგია ზეკა-  
ცობისა და ამ რელიგიის შეუგნებელი ქადა-  
გები არიან ჩვენი მგოსნებიც.

ლტოლვა ზეკაცისადმი არა ერთხელ შეღა-  
ნებულა ევროპის ფილოსოფიაში კერძოდ  
და მთელის სიძლიერით იგი ლტოლვა ფრ.  
ნიცშეს გაუშლია.

მაგრამ ეს ზეკაცი იტევდა თვის სახელს,  
იგი მართლაც მაღალ-ბუნებოვანი და მწყურ-  
ვალე განუწყვეტელის აქტიობისა; იგი მარადის  
მოკლებული იყო მას, რასაც ნიცშე „ჯოგურ  
ინსტინქტს“ უხმობდა.

ამიტომ ნიცშეს ზეკაცი, მისი წადილი  
მიუწლომელი იდეალია დღეის ყოფაში, იგი  
არსებითად მომავალ პირობების შეილია, განა-  
ხლებულ სულისაგან წარმოადგენილი. იგი მო-  
მავლის სასურველი სახეა, მაგრამ ემპირიულად  
ჯერ არ ხილულა.

სულ სხვა გვარის თვისების არის დღეის  
ზეკაცი, რომელიც კერძოდ ჩვენს მწერლო-  
ბაში გამეფდა, თუმცა ჩვენი მგოსნები მკრთა-  
ლად და შეუმცნებლად ხანდისხან მას ცეც-  
ხლის აღისაგან შობილს, ღვთიურ უკვდავე-  
ბის მატარებელს უწოდებენ, მაგრამ იგი ზე-  
კაცი მოკლებულია ამგვარ პრეტენზიებს.

თუ ჩვენი მგოსნების ბუნებას ჩავაკვირდ-  
ებით და მის წადილს ფსიხოლოგიურად განვი-  
ხილავთ, აშკარა ვახდებთ, რომ ეს ახალი რე-  
ლიგია უტოპიზმიდან შორსა სდგას, რადგან  
მისი იდეალი ცოცხალი, მოქმედი კაცია და  
არა ზეკაცი.

ჩვენ თითქოს ყოველ წუთს ვხვდებით

ადამიანებს, მათთან ვცხოვრობთ, ერთფეროვანი ღღენი მათის ყოფისა ჩვენაც გვეფლობს, მაგრამ ამ ხალხში ჩვენ, შეუმცნებლად, ადამიანს, კაცს დავეძებთ, თვისი ინდივიდუალურის სახით. და ყველაზე მწვავედ ამ ძიებას განიცდის ხელოვანის ბუნება.

ის, რასაც ჩვენ დავეძებთ, არის სული ადამიანისა, რომელიც ყოველმხრივ შებოჭილა და სიცოცხლის, მოძრაობის ნიშან-წყალი დაუკარგავს. ასეთი წადილი ადამიანის სულის ხილვისა, მის მოძრაობის გაშლისა გამეფებულია ევროპის ლიტერატურაში და ხელოვნებაშიაც.

მაგრამ იქ ეს ლტოლვა გამოიწვია პროგრესის და ტექნიკის განვითარებამ, რომელმაც ადამიანის პიროვნება უბრალო დამატებად აქცია და ჯგუფში გათქვიფა. იქ მთელი კლასები ერთმანეთს ებრძვიან წინსვლისათვის და არსად სჩანს პიროვნების ასპარეზი. და ევროპის ხელოვნების ინდივიდუალიზმი პროტესტია ასეთ დამონაწევებისა და გათქვიფის წინააღმდეგ მიმართული.

ჩვენში კი კულტურა ახლა იკიდებს ფეხს, საზოგადოებრივი დიფერენციაცია ახლა იწყება და პირველ შეტაკების შემდგომ მოლლიონ უმოქმედობას მიეცემიან და მოსთქვამენ. ჯერ მარტოდენ შინაგანი მუშაობასწარმოებს და ამ კლასობრივ დიფერენციაციას არ მოჰყვლია ობიექტიური გაშლა მოძრაობისა და აქტიობის. და ხელოვანი სკვრეტს ამ საზოგადო უმოქმედობას, უაქტობას და შინაგან ტანჯვას განიცდის.

მას, ბუნებით აქტიურს, სწყურია ობიექტიურად გაშლილ აქტიობის ხილვა... მაგრამ მას თითქოს რწმენა დაეკარგა ღღენის ადამიანებისა, რომელთაც ფლობს უმოქმედობა და რომელთა წადილს იქვეები ღრღნიან; და ღღენის ადამიანების მხატვრის ბუნებას უსულლო არსებად მიჩნია, რომელსაც დაშრეტია აქტიობის წყარო.

და მხატვრის ინტუიცია მოუწოდებს ახალ ადამიანს, განახლებულ სულს, რომელიც უკუყრის იქვეებს და თვის წადილს აშკარა მოქმედებაში ამჟღავნებს. იგი გარდაქმნის ამ საზოგადო ინერტიულ ყოფას და სიცოცხლეს ბრძოლით განაახლებს. ეს ზეკაცო, ცხადია, უბრალო მოძრაი და ძლიერი ნების და რწმენის ადამიანია...

აკაკი პაპავა



მსახიობელი ეფემია მესხი

30 წლის სსსენო მოღვაწეობის შესრულების გამო

## პირველი გამოცემა

(ჩემი მოგონება)

1884 წ. პირველად გამოვედი თბილისის სცენაზე შემთხვევით.

მ. საფაროვის ქალის ბენეფისი იყო და ღიღის ამბით ემზადებოდენ ამ ნიჭიერი მსახიობის პატივსაცემლად.

იმ დროს ახლად გამოსული ვიყავი სასწავლებლიდან და ვცხოვრობდი ჩემს ძმა სერგეისთან. ქართულ წარმოდგენებზე ხშირად დავდიოდი და აღტაცებაში მოვყავდი ზოგიერთ ჩვენი ნიჭიერი მსახიობის თამაშს. განსაკუთრებით თაყვანისმცემელი ვიყავი ნ. გაბუნისი და მ. საფაროვის ქალებს.

თავის საბენიფისოდ საფაროვის ქალი სდგამდა პიესას „პარიზელ ბიჭს“ და როლები საუკეთესო მსახიობთა შორის იყო განაწილებული.

მოუთმენლად მოველოდი ამ წარმოდგენას, რადგან ღიღი ხნიდან მესმოდა, რა მზადებაშია იყო საზოგადოება ამ ღირსეულ მსახიობის პატივსაცემლად. მეშინოდა, ვაი თუ რამემ შემინალოს ხელი და ვერ დავესწრო ამ წარმოდგენას — თქო.

გათენდა ეს სანატრელი ღღე და მე კიდევ არ ვიცოდი, სადამოს წავიდოდი თუ არა წარმოდგენაზე. მოწყენილი ვიჯექი რედაქციაში და სერგეისათვის პაპიროსებს ვაკეთებდი, როდესაც ჩემი ძმა კოტე აღელვებული შემოვიდა და მითხრა:

— უნდა თეატრში წამოხვიდე, რეპეტიციაზე, ამაღამ უნდა ითამაშო!

ამ სიტყვების გაგონებამ საშინლად შემაკრთო და თვალმბრუნებელი შევამტვრიე კოტეს. სერგეის გაეცინა, რადგან ხუმრობა ეგონა, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ კოტე არა ხუმრობდა, ცოტა წყენით ჰკითხა:

— სამასხაროდ გინდა გამოიყვანო ვერე მოუშაღებლათაო?

კოტემ, უამბო საქმე როგორც იყო: კორინთის ქალს, ყიფშიძის მეუღლეს, რომელსაც ახალგაზრდა ქალის როლი უნდა ასრულებინა, შვილი გახდომოდა მძიმე ავად და თამაში არ შეეძლო. რადგან დასწრე სხვა ამ როლის ამსრულებელი არავინ იყო, კოტე ჩემთან მოვიდა.

სერგეი წინააღმდეგი იყო საზოგადოებრივ სცენაზე გამოსვლისა, მაგრამ ასეთ შემთხვევისთვის ნება დამართო თამაშისა.

ჩემს ალტაცებასა და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მისრულებოდა დიდი ხნის ნატვრა, მაგრამ თანაც ძალიან ველავდი და მეშინოდა.

კოტემ წამიყვანა რეპეტიციაზე. ჩემთვის სულ უცხოინ იყვნენ იქ, სცენა, მსახიობები, მოწყობილობა.

აქვსენტი ცაგარელი სუფლიორად იყო. მან გამამხნევა, მითხრა, ნუ გეშინიან, ცალი ყური ჩემკენ დაიჭირე, ნუ შემომხედავ, ისე დამიგდე ყური და რაც მე გითხრა—გაიმეორე.

საფაროვის ქალი აღერსით შემხვდა, მასწავლა, როგორც უნდა მეღაპარაქანა.

რეპეტიცია, რასაკვირველია, უხეიროდ ჩავატარე, რადგან აღლევებული ვიყავი და როდესაც ერთი სიტყვა არ ვიცოდი.

როდესაც შინ დაბრუნდი, მაშინვე ჩაუჯექი როლის სწავლასა და კარგათა ვისწავლე. საღამოს აცახცახებული წავედი თეატრში. გრიმი გამიკეთეს და შესაფერი ტანისამოსი ჩამაცვეს. როდესაც სცენაზე გავედი, ყველა მსახიობები ფარდის ჰურჭულთანაში იტყირებოდნენ, მაგრამ მე ვერ გავხედე ხალხის შეხედვა.

რეჟისორად მაშინ კ. ბეზუთოვი იყო. იმან შეგვატყობანა, რომ დრო იყო წარმოდგე-

ნის დაწყებისა. ყველამ თავ-თავის ალაგები დაიჭირეს და ფარდაც აიხადა.

როდესაც ჩემი გამოსვლის დრომ მოაღწია, მთლად კანკალმა ამიტანა, როლიდან ერთი სიტყვა აღარ მახსოვდა და კინაღამ ტირილი დავიწყე, მაგრამ თავი შევიმაგრე და კრძალვით გავედი სცენაზე.

მომემსა სუფლიორის პირველი სიტყვები ჩემი როლიდან და დანარჩენი კი მე თითონ გამახსენდა. თამამად დავიწყე ლაპარაკი, დამავიწყდა, რომ ამდენი თვალი მიყურებდა, მე მხოლოდ ჩემს სალაპარაკოზე ვფიქრობდი.

პირველი მოქმედება გათავდა. ყველანი მამხნევებდნენ, მოსწონდათ ჩემი თამაში, მაგრამ ახლა მე ჩემს თავზე არა ვფიქრობდი. გაოცებული ვიყავი იმ ალტაცებისაგან, რომელიც გამოიწვია საფაროვის ქალის თამაშმა.

მეორე მოქმედებაში უფრო თამამად გავედი სცენაზე და მშვიდობით გადავჩი პირველ გამოცდას. ჯილდოთ საზოგადოებისაგან ტაშიც მივიღე. დავით ერისთავი შემოვიდა კულისებში და ალტაცებით წამოიძახა:

— აი, ვინ ითამაშებს ჩემს „სამშობლოში“ ქეთევანის როლს!

ვასო ამაშივე აქვე იღვა და მიძახა: — რას ლაპარაკობთ? ბავშვობა ხომ არ არის?!

იმ დროს „სამშობლოს“ დადგმას აპირებდნენ და დიდი მზადება იყო: ტანისამოსები იკვებოდა, დეკორაციებს ხატავდნენ და საზოგადოება მოუთმენელად მოელოდა ამ პიესის ნახვას.

მეორე დღეს დავით ერისთავი შემოვიდა რედაქციაში და სერგეის ძალიან უქო ჩემი თამაში და სასცენო ხმა. ისიც გაიმეორა, „სამშობლოში“ უნდა ვათამაშო ქეთევანის როლიო.

— მაგისთანა პასუხ-ღაგებ როლის თამაშობამდის ჯერ ეგ შორს არისო.— მიუფო სერგეიმ ღიმილით.

ჩემმა ძმამ კოტემ მითხრა, დაისწავლე „სამშობლოდან“ ერთი მონოლოგი, როდესაც წასაკითხავად შევიკრიბებით, ყველანი თავის როლიდან ერთ ადგილს წაიკითხვენ და შენც იმ ალაგას წაიკითხავო.


მსახიობები შეიკრებნენ და კოტემ მეც წამიყვანა ამ კრებაზე. დავით ერისთავიც იქ



იყო, და ბევრი სხვა გარეშეებიც. იმდენ უცხო ხალხში ისე შევეკითი, რომ არამც თუ მონოლოგი წამეკითხა, ხმაც არავისთვის გამიცია და ისევე მუხჯად დაებრუნდი სახლში.

პირველი ჩემი შემთხვევითი დებიუტის შემდეგ თითქმის ორი წელიწადი გავიდა, რომ სცენაზე არ გამოესულვარ, თუმცა მუდამ მოწოდებული ვიყავი თამაშსა.

**ეფ. მესხი**



**ვასო აბაშიძე და ზაალ მაჩაბელი**

(1879 წ. გადაღებული)

**ლი ა კ რ ი**

გულის,  
გულის!

გულის კარს რომ გააღებ, შეიძლება ეგ გული შეგიცივდესო, — მითხრა ერთმა კარგუნულამ.

და დასძინა:

— შეიძლება ვინმე შეიპაროს კიდევ და

მუნ დაისადგუროსო.

სიცივეში?

მაგრამ არა ცივა აქ.

იგი დიდი ხანია გამთბარია იმ უხილავი, მაგრამ უცხო ღმერთის ცხოველმყოფელ სხივებით, რომელსაც აღამიანები ჩვენს ენაზე **ხელოვნებას** ვეძახით.

გამოეტეხილვარ, აქ პატარა და ვიწრო, მაგრამ მიინც სამლოცველოა ამ ღმერთისა.

ვერ არის მოჩუქურთმებული, ვერ არის შიგ კედლებზე დიადი ფრესკები ტიტანიურ მიქელ-ანჯელოსი, რაფაელისა, ლეონარდოსი;

ჩემს სუსტ ოცნებას ეკრე საღიადო ვერა შეუქმნია.

მაგრამ

იქ ნათელა, იქ თბილა, იქ მყუდროებაა. და სულ არ მაშინებს ვალებული კარი.

უთუოდ ის შემოვა, ვისაც ლოცვა სურს, ჩემი თანაზიარები ამ ღმერთთან.

მხოლოდ რათ დაიდგა ტახტი ამ კერპმა ჩემს გულში?

მიტომ, რომ მწამს კაცობრიობას მხოლოდ **მშვენიერება** იხსნის.

და ისინი... „მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი“, რომელნიც შეიძლება გაუბრბინ დღეს ამ ხელ-მოუკიდებელ არსს...

ერთი დროც იქნება იგრძნობენ, რომ მათი მხსნელი, მათი მაცხოვარი მშვენიერება იყო.

*რეკლამები*

**ჩემო კარგო ქვეყანავ**

(მიბაძევა)

— ჩემო კარგო ქვეყანავ რაზე მოგიწყენია?

— შეილო, რას მეკითხები, რატომ არა გრცხვენია!

შვილები მტრად გამიხდენ, გამიმწარეს დღენია:

ჩემს მიწა-წყალს წეწავენ, რა მაქვს მოსალხენია?

წარსულში უპირობით მქონდა მწარე დღენია,

დღესაც ამას ვხედავ, — რა მაქვს მოსალხენია!

— ჩემო კარგო ქვეყანავ, გთხოვ, ნუ მოგიწყენია...

— შეილო, ნუ თუ ვერ ხედავ? — რა მაქვს მოსალხენია!..

შვილების უპირობამ დამიქცია ბრჭენია.

ვაჭართ ხელში ჩამადგეს, — ვანა მოსათმენია!

ჩემი გულისთვის ქართველს ბევრი სისხლი სდენია,

მე-კი, იმათ შემეყურეს, ცრემლი დამიდენია!..

სწევბი გაიძახიან:  
 „საქართველო ჩვენია“  
 და შენ-კი მეკითხები—  
 რაზე მომიწყენია?!

— ჩემო ტურთა ქვეყანავ,  
 ნუ... ნუ მოგიწყენია,  
 იმედს ნუკი დაკარგავ,  
 მომავალი ჩვენია!..

3. კირვალძე



ისააკ ლავიტანი



(1861—1900)

ესკიზი

წარსულ საუკუნის რუსულს ხელფანებს ჰქვას მრავალი ლიტერატორი-მთაბე, და მათ შორის ზირკელი ვერეშკინია, რომელიც ტრაგიკული ხმით მოგვითხრობს წუთის სოფლის სასარულ წამებს. მაგრამ მსხვილი თვლი და გრძობიერი გული რაღა დასჭირო იმისთვის, რომ დავინახოთ ამ წუთის სოფლის საშინელება. აი მისი „ომის ანთოლოზი“! თავის სარქველების უხარმზარი გრთავ! ვისთვისაა საჭირო ან რისთვის?! განა უამისლად ვერ ვიგრძნობთ ომის საშინელებას?! ან რა არის აქ რუსული? განა ომი უველგან ერთგვარი ღვთის რისხვა ან არის?! არა, რუსეთის ხელფანებს ესაჭიროებოდა მსატვარი ჩესოვის ნიჭით, რათა აღეზინა რუსეთის შარა ცხა, ტყე, გასაფხული მისი სურნელფანი მიწით, გამდნარი თოვლი, გამხმარი ფოთლები, შემთბობილი ალუბლის ბაღი, არეის მწვერვლების მომძინარე რეჟავ; მს ესაჭიროებოდა მსატვარა ლირიკოსის აკაკის ნიჭით, რომელიც, მისებრ ჩვენი „ფირუზ ცის და ხმელეთ-სურმუსტის“ სიმშვენიერის აღწერის მსგავსად, დაგვიხატავდა რუსეთის ჭკაქვ ქას.


ამ გვარი ნიჭით დაჯილდოვებული ხელფანის რუსულს მსატვრობაში აუთ ისააკ ლევიტანი, მეტობარი და თანამოზრე ჩესოვის. უკანსკენეს არა ერთხელ უთქვამს, რომ უდაღესი ბენაიერება მისთვის იქნებოდა, მანდ ჰქნებოდა თვალ წინ ლევიტანის ბუნდოვანი, შუქმუხენილი სურათი.

ისააკ ლევიტანი ხელფანებსში მადლიანი და ძლიერი ზოტის, დვიძლი ძმა კოლდოვის, ტურტენიევის, ტოტჩევის. მის მსატვრობაში გამოსახულია სევდა რუსულ ბუნების და გლეხის სიმღერის. მაგრამ არც ამ ღვთისკან გამორჩეულმა ბუმბერაზმა დაიწყო მწიობრი ღაზარაკი მანდებოდავნი, მს რამდენიმე წელიწადი იტირის ბავშურად შიშინის და კისელითვის დუნდულა და მისაწყენარ ენაზე. 1889 წელს ლევიტანმა მოახერხა, როგორც იყო, წასვლა სამხდვარ გარედ ზარიზის მსოფლიო გამოფენაზე, და ამ გარემოებაში მოახდინა ძლიერი გავლენა მის განვითარებაზე, რადგან განათა ხელფანების ის მხარე, რომელიც აქნობადის მისთვის ფარული იყო. 1892 წელს „ხელფანების მოყვარულთა საზოგადოების“ გამოფენაზე ლევიტანის „ბინდმა“ მიიღო ზირკელი ჯილდო, და ამ წლიდან იწეება საუკეთესო ხანა მისი ცხოვრების და შემოქმედების. საჭირო იყო კიდევ მსოფლიო რამდენიმე ნაბიჯი, რათა ლევიტანი სრულად განათავისუფლებულიყო ყოველგვარ ტრადიციებისკან და ამ თვთ იმ სკოლის ნაკლისკან; და რომ ლევიტანმა ნამდვილად მოაზრონ დამოკიდებულობის უღელი, ამის გვარწმუნებს აღექვსანდრე ბუნჯა, რომელიც იხსენს, რომ რუსულ ხელფანების ისტორიაში ძნელად თუ მოაზრებება ისეთი თავისუფალი, თვითმყოფი ხელფანი, როგორც იყო ლევიტანი.

ისააკ ლევიტანი ნამდვილი მუსიკოსია: მის ნახატებში მთელი გამმა გუნების, რომელიც ის მის ერთს აკოორდდა; არც ისეუქტი, შინაარსი, ეფექტი; იგიანი — ბუნება მომაკვავი, მზარული, ძილისთვის მომზადებული, ადრისანი, შუქმუხენილი, იღვამლი. არა, მისი სურათები სურათები რაღა — თვით ცხოვრების ნაკრების ტილოზე. მს შეეხდით მის სურათს „საუკუნის სანავის ზედას“ ეს ის მთის მედღურთი სურათი რაღაა, რომელიც გვიხატავს ი. ჭავჭავაძე თავის „განდგობილში“ მთისა, „სად უდაბურსა მს მუდარობას კატო ჟრამული ვერ შესწავლია, სად წვიმა-თოვლინი, ენულად ქმინილი, მზისკან აროდეს არა ჰქნებამს“ არა, ეს არის ის „დადლილი სინაზე რუსულ ბუნების, უტყვი ტკივილი მიმდულ მწუხარებისა“, რა



# საგომგლო კვახის მოღვაწე



„საუკუნო ხავენი ხედან“



ვენატე ნინოშვილი (1861—1894)

მელსაც გვიხატავს ბაღმონტი. მწკნე გორაკი, რომელზედაც მოთავსებულია რამდენიმე ჯვარი სოფლის სასაფლაოსი; უსინდისლო წყალი ირკველი; ცაზე სდამოს მშვიდი სინათლე, მძიმე ღრუბლების ნაკლებობა, — და უგულა ეს ერთად გახეული, სმგლოვარო ძაძის მსგავსად, ცის დანაკისებურ ნისლეში.

ისაჯ ლევიტანი უტუყარი ხელოვანია. იგი, ბუნუას სიტუეით, სტკება არა თუ ყაღმით და ფერადებით, არამედ მას შუედლიან კანონიერად დაღამაზად ხატვაც.

ბეგრჯერ უოფილა დახტული რუსული ზეიხაჟი: მონასტერი, არუის ხეები, მდინარე, შავრამ ლევიტანის ნახტი ახალი სიტუყვა, ახალი სიმღერა. ლევიტანი უსზღვრად მოსიუყარული დედა, რომელიც თავის სინდისლეს უდრემღოდ სწირავს ავადმყოფ ბავშუს. მართალია მის ნახტ ჭღერქ ტაში, მკრთად მზეში, მკენარ ფოთლებში, თავნამოკლებულ ცხენში ჩაქსოვილია მალული მწუხარება, მაინც ამ მწუხარების თხელ ზედაპირის ქვეშინიდან გამოსჭვივის იმდენად ძლიერი, ნაზი და მშეუნიერი სიყვარული სიღამაზისადმი და სინდისლესადმი, რომ არავითარი საბუთი არა გვაქვს ჩავრინცხთ ლევიტანი ზესნიმისტეებში, როგორც ეს მუქღლებულია ჩვენთვის შესახებ. თავის შემოქმედებაში ლევიტანმა საუცხოვოდ შეაერთა გაფრტული აქაიქ მოსწრებული თვისებები და ძიებანი სხვად სხვა წინამაჟღედეგ ზეიხაჟისტ-მხატვართა, შეაერთა ობიექტიური სიღამაზე ზეიხაჟებისა და მუსიკისა, და სწორედ ამით უნდა აისინას ის მოვლენა, რომ მან შექმნა მთელი სიყვარულად ახალგაზდა მხატვართა, რომლებიც მისდგვენ საუყვარულ ოსტატს, როგორც მოგვანი გზის მჩვენებელი ვარსკვლავი.

აღმონდაეს ნეტაცდ ერთი მაინც ამგვარი ნიქტი ქართული მხატვართა შორის!

8 მისს შესრულდა ოცი წელიწადი, რაც ს. ჩოჩხათში (გურიაში) მიწის მიიზარეს ხედახის გულის შესაიდუმლე; ეგ. ნინოშვილი, 1894 წ. 29 აპრ. უღროოდ თვალდახუჭული.

ცხოვრება ამკინდანვე უღედინაცვლა ეგნატეს, ფეხისაღმგისთანავე შეება იგი ცხოვრების მძიმე უღელში: იყო მეძროხედ, მოსამსახურე-ბიჭად, შავ-მუშად, სოფლის მწერლად, მასწავლებლად, და... ვინ მოსთელის, რამდენი ვივივგლახი არ ვანიცადა. მიუხედავად ამისა, არ ჩაიქრო გულს ანთებული ღვითიური ცეცხლი, მოძმეთა საკეთილდღეოდ გაღვივებული...

თვით ღარიბი გლეხის შვილმა, ადრე დაობლებულმა, გლეხისავე ვაგბით აღზრდილმა და თვისთ გონება-გახსნილმა, ქაბუკობაშივე აართო ალლო ცხოვრებას და საძირკველი ჩაუყარა იმ მოძღვრება-მიმართულებას, რომელმაც შემდგეში ქართველი ხალხის გათვითცნობიერება დაისხა მიზნად, — ეგნატემ შეადგინა პირველი მარქსისტული ჯგუფი და მით საფუძველი დაუღო მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ქართველი მშრომელი ხალხის ამოძრავებას...

ეგნატე იმ დროს (1901-იან წლებში) გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როდესაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება შემდგომი იყო, მოღვაწეთა ყურადღება ბანკს შეპოფინებდა, გლეხკაცობასა და მუშა ხალხს მხოლოდ ხალხოსნურ მიმართულების მწერლები თუ გაიხსნებდენ ხოლმე, ისიც შორიდან...



ეგნატემ უარჰყო შორით მზერა, იგი თვით ტრიალებდა ხალხის ღუბჭირობის გული-გულში, მისი ვაგებით იტანჯებოდა, მასთან ერთად კვნესოდა...

მთელი მისი სამწერლო მოღვაწეობა მამჩვენებელია ჩვენს ცხოვრებაში ახალი ხანის დაწყების, ახალი ურთიერთობათა დამყარების, ძველ შეხედულებათა შერყევის, უტყუარი სურათია ჩვენი დაბნელებულ, უფლება-აყრილ ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და უკუღმართობის წინააღმდეგ სასტიკი შეძახილი.

უვიცობა, გონებრივი სიბნელე, ცრუმორწმუნოება, წოდებრივი უთანასწორობა, ძველ ადათ-ჩვეულებათა ბრმა მორჩილება, ხალხის სიღარიბე და მისგან წარმომადგარი აურაცხველი უკეთურებანი, — აი რა აქვეითებს ჩვენს ქვეყანასა...

მოსპეთ ქონებრივ-უფლებრივი უთანასწორობა, შეიტანეთ ხალხში განათლება, აღამიანი იცანით სრულ პიროვნებად, სრულ კაცად ჰქმენით გლეხი და მუშა, — აი რას გვიმოდლებდა იგი...

და ყოველი სიტყვა მისი უკეთესი მერმისის ძლიერ რწმენას გვინერვავს, ცხოვრების განახლებისაკენ მხნედ მოგვიწოდებს...

ამიტომაც არა თუ მხოლოდ მისი ნაწერები, არამედ მთელი მისი ტანჯვით აღსავსე ცხოვრება-მოღვაწეობის გაცნობასაც-კი დიდი აღმზრდელითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხისთვის...

დღეს ქართველი დემოკრატია უკვე ყალიბდება, გარკვეულ გზას ადგება. ეგნატეს დროს-კი მთელი ქართველი ხალხი მხოლოდ ერთგვარ, გაურკვეველ მასსას წარმოადგენდა. ეგნატე იყო ქართველი მდამბო ხილხის განკაცების უშუბტიცესი მოციქული. ამას თვით ვერ მოესწორო, — მზე ეგნატესი მაშინ ჩაესვენა, როდესაც მარად მისთვის საყვარელ ხალხს ახალი ცხოვრების განათიდი უღიმოდა...

ეგნატემ მაინც თვისი ცხოვრება-მოღვაწეობით საპატიო ადგილი მოიპოვა სამშობლო ქვეყნის მოღვაწეთა ხომალში, — დანიელ ჯონ ჯაძის, ილია ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, გ. წერეთლისა და სხვა მისთანათა გვერდით.

და როდესაც ქართველი ხალხი საესვებით გამოერკვევა დღევანდელ მოჯაღოლებულ მდგომარეობიდან, — შეიგნებს თვისი ნამდვილ ქირ-

ვარამს, და შეიცნობს თავის მრავალ-ტანჯულ მწერლის — გ. ნინოშვილის — სულისკვეთებათ, მაშინ მისი მზეც უფრო ბრწყინვალედ გაიკაშაებს.



## II. იოსებ ბაქრაძე (1852—1904),

ქართული თეატრისა და მწიგნობრობის უნგარო მუშაკი, ათი წელიწადი სრულდება (14 მაისს), რაც ქართველ მოღვაწეთა მცირე ჯგუფს გამოაკლდა. ობლობით სიღარიბეში გაზრდილი, სემინარიაში სწავლის დროსვე შეუღდა საზოგადო მუშაობას: სწერდა ლექსებს, მონაწილეობდა ქართულ სამუღებამო სცენის დაარსებამდე სცენის მოყვარეთა წრეებში და სხ., მაგრამ იგი განსაკუთრებით ცნობილია ვითარცა ბაირონის, ჰეინეს, გუცოვის, ვალტერ-სკოტის, სუნდუკიანცის და სხვათა მთარგმნელი. 70-იან წლებიდან მოყოლებული იგი ჩუმად, მაგრამ მხნედ მუშაობდა ჩვენი წინმსვლელიობის ყოველ ასპარეზზე. მისი ნაშრომნი ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული და ჯერაც მადლიერ გამომცემელს ელის. ი. ბაქრაძე ენის კარგ მცოდნედ ითვლებოდა და ამ მხრითაც ფრიად საქიროა მის ნაშრომთა ცალკე გამოცემა მოზარდი თაობის საკითხავად. ი—ი

## ადამ მიკვეერილიან

I  
ოღესაც იშვებს ჩემი ნეტარი, ვით ყრმა იცინის, ამოდ ჰიკიკებს; მაშინ არა მსურს დუმლითი ვმხერდე და კვლავ ყურს ვუვადებ მის სიმღერა-ხმებს...

II  
ოღეს მგზნებარებს მიჯნურის თვალი, ოღეს ნელ-მუქით ლოყა ჰფეთქდება და მასა ზედა სახილი ალი ხან არესა მსწავეს და ხან-კი ჰქრება... როს მარჯანთ მუა კბლი ეღვარებს, ენებით იწვება მუნ ბაგე ორი, მაშინ არ ძალმიძს დუმლითი ვმხერდე და მყისვე მინდა, ვუძღვნა ამბორი!..

გ. ლენიძე

# სიწყევის თავისუფლებისათვის მიგრძობილი ქართველი დეპუტატები (22 აპრილს სათათბიროს 15 სხდომიდან განდევნილები)



გ. ჩხეიძე



ა. ჩხენკელი



ვ. გელოვანი



## სათათბიროს დარბაზიდან დეპუტატ ა. ი. ჩხენკელის ძალით გაყვანა.

შუაში ჩხენკელი (1), ორ ჯარისკაცთა შორის, მის წინ პოლიციელები ბერტოლდი (2). ჩხენკელის შემდეგ შრომის ჯგუფელი ა. თ. კერენსკი (3) და ვ. ლ. გელოვანი (4), მეორე რიგში ნ. თ. იანუშევიჩი (5) და ვ. ნ. პეპელიაევი (6). პირველი რიგში ა. მ. ალექსანდროვი (7), ა. ფ. ბუჩინაივი (8) და ა. ი. რისლევი (9).

პირველად ა. ი. ჩხენკელი გაიყვანეს ძალით. როდესაც პოლიციელებმა ბერტოლდმა დეპუტატს მხარზე ხელი დააღწია და სთხოვა გასულიყო, ჩხენკელი თვის ადგილიდან მიიმეღ წამოდგა და წამოიძახა: „მე ვემორჩილები ძალდატანებას!“ დარბაზიდან გამოსვლის დროს კარებიდან უმრავლესობის საყურადღებოდ დაიყვირა: „საცოდავი მონები!“ დეპუტატმა ა. თ. კერენსკიმ სათათბირო დარბაზიდან გასვლისას თავის ადგილიდან დაიყვირა: „ემორჩილები უხეშ ძალას. გაუმარჯოს თავისუფლებას!“ უკანასკნელად გ. ი. პეტროვი გაიყვანეს.



იგი არ არის მეკვდარი!..

(გვ. ნანაშვილის ხსოვნას)

სული დალია, მაგრამ არ მოკვდა...

იგი, ვინც მშობელი ხალხის ჭირ-ვარამი გაიზიარა, ტანჯულ მოძმეთა ცრემლებით ეზიარა, მთელი თვისი სიცოცხლე უკუღმართი ცხოვრებისგან გამწვანებულთ უმღეროდა, ღარიბ-

ჩაგრულთ დახსნისათვის ბრძოლაში სული დალია, სული ერთგული, არ მოკვდარი...

ხანმოკლე იყო სიცოცხლე მისი... ჯერ კიდევ ბევრი დარჩა უთქმელი, მაგრამ რის თქმაც მოასწრო, იმითაც გზას გვინათებს... იგი თვისი სულის მონაბერით ცოცხალია და არც მოკვდება, ვიდრე ქართველი ხალხის გულში არ ამოჭკრება

მისი მშობლიური, ტკბილი ენით მონათხრობი, მისგან ვალვიებული ძმობა-ერთობის და კაცთა სიყვარულის აზრები...

ვინ იყო იგი? იგი იყო ჩვენი ჭირ-ვაების მომღერალი, ჩვენი გულის ნადების გამომთქმელი...  
...შენ არ მომკვდარხარ და არც თუ მოკვდები, ჩვენო ერთგულო, სულმნათო მოძღვარო!..

# გ ვ ა შ ი

(სილუეტი)

...ფიცხია, კნიაზო, გურული კაცი, მეტის მეტად ფიცხია... არ გეწყინოს კი და... შახტე-ბა უტებ გაუხედნავ კვიცივით, შატლინკლება მამაცხონებულები და აბა, თუ ვაჟკაცი ხარ, და-მაგრდი...

— საიდან ვიცი მე ესა? ვახ, ნეტავი არ ვიცოდე, კარგი იქნებოდა, შენმა მზემ, მაგრამ რომ ვიცი, ჩემ საკუთარ ზურგზე რომ გამოვცადე! ერთხელ ისეთი მცემა, ისეთი მცემა გურულმა, კნიაზო, რომ სულ ბოლი ამადინა...

— გაიბო? რათ გიყვარს, კნიაზო, შენა ასე გამოკითხვა, თითქოს „სლედავატელი“ იყო... ჰო, კარგი, რაკი ვიამება, გეტყვი, საქმე ხომ მეტი არაფერი გვაქვს და მერმე ისიც უნდა ითქვას, რომ კარგია გზაში ლაპარაკი— მიღიხარ, საუბრობ-გზა ისე თავდება, ვერცკი გაიგებ... სადილი კნიაზო? აი გავიაროთ კიდეც, დუქანი შეგვხვდება, ჩვენი სოფლის ბიქს უჭირავს, იქ დაგეწყადეთ. შენა მშატეობ, კნიაზო! კი დაგეწყადეთ, მაგას რალა სჯობია... ღვინოსა? ვახ, ვახ! ვსვამ მა რა! ქართველმა და ღვინო არ დაელიო! შენა, კნიაზო, არ სვამ! ვერა, ვერ დაგეჯერებ, უღვინოთ როგორ შეიძლება, ღვინო ზიარება...

— მე მეგონა დაგავიწყდა—რაკი არ მეშვები, გაიბობ, ჯანი გავარდეს.

— ერთხელა, კნიაზო... ი ეშმაკი როკაცს აიტაცებს, თორემ მამა დალაქი მყვანდა, ნალბანდობას რა მრჯიდაო, აბა და რა ჩემი საქმე იყო ვაქრობა,—ერთხელა, კნიაზო, ჩავაწყე კალათში ასიოდე კვერცხი და ანში წავიდე. იქა მაშინ „ნასლეტნიკი“ ცხოვრობდა, აცხონოს ღმერთმა, ძაან კიი კაცი იყო და ჩვენა, ქართველები—ამბობდნენ—ძაან უყვარსო. დიდაცობა ბევრი იყო მაშინ იქა, სასმელ-საქმელსა კიი ფასი ჰქონდა—ერთი კვერცხი შაურად იყიდებოდა. ჰო და მეც წაგებაძე მესობლებს, მოუყარე თავი ასიოდე კვერცხს—ერთი ხუთი მანეთი გამოვა მეთქი.

— მიუხახლოვდი ანს და დახე ერთი, ის ოხერა და ტიალა გურუქა ვაქრის ბიქი, სახელად ხორენას ეტყვიან, ის არ გადამიღვა წი-

ნა! ეხლა იმ ბიქს ხილის დუქანი აქვს, ერთი ოხერი ვინმეა, ნამდვილი კინტო.

— გამარჯობა!

— გავიმარჯოს!

— კალათში რა არი?

— კვერცხი.

— გასასყილია?

— გასასყილია მა რა იქნება, ნათლიდე-და როდი მყავს ანში, რომ იმას მიუტანო.

— მაშ, მაიტა რალა, ერთბაშად მაყიდე.

— იყიდე, შვილოსან, ვინმემ ხომ მაინც უნდა იყილოს.

— რამდენია?

— ასი.

— ეჰ, ჯანი გავარდეს, ერთი ახლისაგან ახალი, ქორფა მანეთიანი მიგღია ჯიბეში, ვერცხლის ფული...

— რა კარგი ბიქი ყვეხარ და დედაშენსა!..

— მა რა გინდა... კარგი, შენი ხათრისთვის ათ შაურსაც დაუმატებ.

— ეხ, ახბერჯან, შენ არ ხარ მუშტარი.

— რამდენი გინდა—თქვი შენა.

— კვერცხი—შაური.

— ერთი კვერცხი—შაური? მერმე და, შე ქრისტიანო, ღმერთი აღარ არის?

— ღმერთი, შვილოსან, დიდება მის სახელს... როცა თქვენ ყილით რაიმეს, მაშინ რათ არ გაგონდებათ ღმერთი?

— ჰო, კარგია, ნუ მიჰქარავ... მოიტა, ორი მანეთი...

— რას ჩამაცივდი, ძმოჯან, ვინ გაძილებს! მე ფასი გითხარი. არ გინდა? მშვილო-ბით იყავი.

— არც ორ მანეთ-ნახევარი გინდა?

— ხუთ მანეთს კაპეიცკ არ დააკლებდა.

— უჰ, შანგორთი... ტუტუტ ვრაც...

— შანგორთიც შენა ხარ, ტუტუტიცა, სომეხიც და არც არა იცი რა.

— მაშ წალი თუმნად გაჰყიდე... აი, აბა გაჰყიდე!

და უტევა, კნიაზო, ჰკრა წიხლი კალათსა, ჰკრა წიხლი, გადააბრუნა და ერთ წუთას ჩემი კვერცხები ფაფასავით აქცია. მოფიქრებაცკი ვერ მოვასწარი, რომ ის უკან, ასკვენ გარბოდა.

ვიდექი და დავცქეროდი თავზე ჩემს დამ-



ბიკენტი (ჟოლა) ლომთათიძე (სპ. მცირიშვილი)

მე-2-ე სსხ. სსათბიანოს წევრად ნამუფთა, ასტრანახანს გადსასწავლებელი. (მისი ავადმყოფობის გაშა)

ტრეფულ კვერცხებსა, რომ ამ დროს უკანიდან ა-ნში მიმავალი პრიტატი წამომადგა თავზე მისი ჩაფრიანა.

— ე რაა, ბიჭო!  
— შენა და შენი ღმერთი, კნიაზო, მიშველე!

ყველაფერი უამბე.  
— იცნობ იმ ბიჭსა?  
— აკი ვთქვი, გეურქას ბიჭია მეთქი.  
— წამამყვე.

მივედით ა-ნში, გავზავნა ჩაფარი. ი სულელი ბიჭი აკი დუქანში დახვედროდა. მოიყვანა ჩაფარმა.

— შენ, ბიჭო, რა თავს იგდებ ა? დაუყვია პრიტავმა.  
— მე არ ვყოფილვარ, ბატონო!  
— არ ვყოფილვარო, რო ამბობ, რა იცი რაზე გეკითხები შენ...

და ერთი ისეთი პრიტაველი აქამა, რომ მოწყვეტილ ვაშლივით დაეცა ძირს ი ჩემი ცოლდით საესე.

— რათ დაუმტვრიე კვერცხები?  
— კნიაზის მზემ, მე არ მექნას.

ესლა უფრო მაგრათ გაუშალა სახეში, დასცა ისევ ძირს და შედგა წიხლებით. ის კი გაიძახოდა—არა და არაო. ოხერი! მე რომ იმდენი მცემონ, რაც არ ჩამიდენია, იმაში გამოვტყდები, ის კი... ვუტკირე, ვუტკირე, კნიაზო, ამ ამბავსა და უცებ დაფიქრდი: კაცო და კვერცხის გულითენ აღამიანს ჰკლავენ, რა პასუხი უნდა გავცე ღმერთს, ჩემ გამჩენს, ხომ მონათლული, მირონცხებული კაცი ვარ მეთქი. შემეცოდა, შემეცოდა ი ძაღლი, კნიაზო...

— კნი-ი-აზ! გავბედე.  
ვერ გვიგონა.  
— კნიაზო!  
— რა გინდა?  
— კნიაზო, სულს ვერ დავკარავ...  
— რაო?

და ისე გადაატრიალა თვალები, რომ... შემეშინდა, მარა რაღას ვიქმოდი.

— მგონი ეგ ბიჭი არ ყოფილა, კნიაზ...  
უცებ დაეღა და დაეღა თვალებში. როცა გონს მოვედი, მიწაზე ვეგდვდი.

— აი შე ასეთო, შე ისეთო... შე ტრეტი და ვირო... დამცინი?

და დაიწყო ჩემ ზურგზე ცეკვაობა. შემდეგ ამიღეს და დამამწყვდის. ვეგდე იქ დღე და ის ღამე. გათენდა—გამამიყვანეს.

— მოდი, ბიჭო, აქ!.. მიბძანა პრიტავმა. მივედი.

— ხომ ის ბიჭი იყო?  
— მა სხვა ვინ იქნებოდა! ის იყო.  
— მაშ რათ იუარე, თუ ის იყო?  
— შამეცოდა, კნიაზო... ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს და ე მუშტები ბაბისა როდი გქონია.

— ა შე ტრეტი, შენა! შენ კი შეეცოდე!

— რა ექნა, კნიაზო, მე ქრიტიანი, მონათლული კაცი ვარ.

— ქრიტიანი! ქრიტიანი! წალი დაი ჯგე აქედან, შე ქრიტიანო, შენა!

ერთი პანლური კიდეც ამამკერეს და გამამავდეს.

— მივიღივარ დალონებული. ვფიქრობ: აბა, რა შენი საქმე ოყო, შე ვირის თავო, ვაქრობა, ღმერთს რომ შნო არ მოუცია... გავიხედე—აკი ი ბიჭი ისევ გადამიდგა წინა. შავატყე—კარგი არ ეღვა გულში, მაგრამ თითქოს ვერა ვხედავ.

— საღ მიღიხარ შე...

ერთი ისეთი მყრალი შემომაგინა, კნიაზო, რომ...

გულზე მდულარე გადამეველო, თვალები დაბნელდა. ე ოხერი და ტიალი, ალბათ ჩემი წერა ყოფილა მეთქი...

დავტაცე, კნიაზო, ხელი, ავიღე და ისეთი დავანარტხე მიწაზე, რომ თუ ცოცხალი დარჩებოდა, არ მგონებია ემან კიდეც უფრო გამაგიჟა, მივედქი და დაუწყე ჯიჯგნა.



მოცივინდა ხალხი, პოლიციამაც მოგვისწ-  
რო. წამიყვანეს, შამიყვნეს „პრატაკოლი“,  
მცემეს... შამდევ ერთი კვირა „მირიო სულმა“  
ციხეში დამამწყვდია... აი, ასე იყო ეს, კნიაზ...  
— გურული კაცი რა შუაშიაო? როგორ  
თუ რა შუაშია? აკი ვთქვი, მცემა მეთქი პრიპ-  
ტაემა. ი პრიპტაევი გურული იყო, არ მითქვამს  
განა, კნიაზ? ჰო, და ფიცხია, კნიაზო, გურუ-  
ლი კაცი, რომ ახტება გაუხენდავ კვიცივით,  
შატლინკდება, მერმე მისი დამშვიდდება ძნელია...  
გურული კაცი-კი ხარ, კნიაზო, მარა, ეს ასეა  
და არ გეწყინოს!..

აი ლუქანიც მოჩანს...

**სპირიდონ მცირიშვილი**

ახალციხის ციხე  
მაისი 1911 წ.



**მეუფე ურიათა**

დრამა 4 მოქ. და 5 სურათად, მის იმპ. უმ. დ. მ.  
კონსტანტინე კონსტანტინეს ძის (კ. რ.)

(დასაწყისი იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 8 და 9)

**სადუქვე.** ეგ ძნელი საქმეა. ხალხს სათაყვანოდ  
ის გაუხდია და ღმერთად სახავს!  
ქვებით ჩაპქოლვენ, ვინც ხელს შეხებეს!  
ჯერ დავუცადოთ. დწმდეს ეგ ღმევა,  
ეგ აღტაცება და მერე მარტოდ  
ხელთ ვივდლოთ საღმე...  
**პირ. ფარის.** (ხმა დაბლა ფარულად) მესმის...

**მ-2-ე ფარ.** მიყრუებულ ადგილს, ბნელსა ღამეში

**სადუქვე.** შევიპყროთ იგი და წარვუდგინოთ  
მღვდელმთავარსა!!

**მეორე ფარის.** მოწმებს ვიპოვით!

**პირ. ფარის.** ბრალსაც დიდს დავდებთ!

**სადუქვე.** ველარ ასცდება  
სიკვდილით დასჯას!

**იოსებ.** რა სიმდაბლე!  
ჯალათნი! მკვლელნი! მე ველარ ვუსმენ!

**ნიკოდ.** დაჩუმიდი, არ ღირს ამათთან შეგმა.

**სადუქვე.** და იგივე ბრბო, დღეს რომისდევდა  
და აღმერთებდა, ხვალ შეეთანხმება  
მოსამართლეთ და სიკვდილით დასჯას  
ისიც მოითხოვს!!

**პირ. ფარის.** შენ მართალი ხარ...  
ბრბოს საიმედოდ ნურავინ ჩასთვლის,

იცვლება იგი, ვითა ამინდი  
გაზაფხულისა.

**მეორ. ფარის.** ხელთ რომ ვივდლოთ

• ვერე ფარულად, საჭირო არის  
ვიცოდეთ ბინა, სად დადის ხოლმე?!

**სადუქვე.** ეს ყველგფერი მოაზრებული

და ნაფიქრია: მის მოწაფეთგან  
ვიცნობ იუდას, ისკარიოტლად

წოდებულსა. ვერცხლისა ჩხრიალი  
უფროვე მეტად სასიამოდ უჩნს

ვიდრე სწავლა უანგარობაზე!  
იუდას უკვე შევასმინე მე

ესაერთ ჩხრიალი. ტკბილად ეჩვენა.  
და თუმცა ფასში ჯერ არ შევივდით,

მაგრამ სიხარბემ ააჭიკჭიკა!!

**პირ. ფარის.** მოვესწრობით-კი მალე მოულოთ  
ბოლო ურჯულოს?!

**მეორ. ფარის.** თქვენათ მიგულეთ  
ყოველ საქმეში!!

**ნიკოდ.** (იოსებს) ახლა-კი დროა  
ჩემის წასვლისა! (ადგება)

**სადუქვე.** ფრთხილად იყავით...  
რა ხმაურობაა?

საკაცთა მსენებს მძიქვათ ზრტყელსი და იოანხა,  
ნიკოდიმოსი გადის.

**გამოსვლა მერვე**

**მეორ. ფარის.** ეგ პონტოელის  
მეუღლე არის.

**პირ. ფარის.** ვინ არის მასთან?

**მეორ. ფარის.** იოანხა, მეუღლე ქოზასი,  
ეზოსმოდღერისა მეფე იროდის...

იგი იესოს მაგდალინელოთ  
და სხვებთან ერთად ჩამოპყვნენ აქა.

**სადუქვე.** სალამი მანდილოსანს!!

**პირ. ფარის.** იცოცხლე!..

**მეორ. ფარის.** ბედნიერ იყავ!!

**პროქ.** მაღლობელი ვარ...  
ჩემგან სალამი გთხოვ თქვენც მიიღოთ...

(სადუქვემკლ და ფარისეველები მძიმედ თავს უკერპენ  
და გაჯან)

**გამოსვლა მეცხრე**

**იოსებ** (მეგებება) ვერ გავებდავდი მოახლოებას  
ფრიალ მძიმე რამ საქმე არ მქონდეს...

**პროქ.** (მონებს). საკაცე დადგით! შვიდობა შენდა  
ჩემო იოსებ... ბრძანე ყურს გივდებ?



**იოსებ.** მსმენია, რომ შენ მხურვალის გულით სიმართლეს იცავ და ვერ მოითმენ უმანკოს დასჯას!

**პროკ.** თუ კეთილისკენ გსურს მიმითითო, ბარემ სთქვი ჩქარა! მე წინადაწინვე მადლობას გწირავ...

**იოსებ.** მსურს იესოზე — გალილეველზე გელაპარაკო...  
**იოანა.** ახ!..

**პროკ.** იოანა!.. გესმის რაედენჯერ დღეს ეს სახელი ჩვენ მოგვასმინეს?! ბევრი მსმენია მასზე, იოსებ! მგზებარედ მსურდა სადმე მენახა! ჩემი ოცნება ვერ შევივსრულე... მხოლოდ დღეს ერთი საათის წინად კიცვზე მჯდომარე ჩემი სახლის წინ მან ჩაიარა... რა მოახლოვდა, მომავპყრა ფვალნი! დიად აქამდე ასეთი სახე, შარავანდეთით მოცული სახე, არვის მინახავს! ბრწყინავდა იგი განსაცვიფრებელ, უცხო ნათელით... და თან დიდებას, თანაც სიმშვიდეს და ჩუშსა სევდას გამოსახავდენ იმისი თვალნი!..

**იოსებ.** შენი მოსვლის წინ აქ რამდენიმე ცნობილი პირნი, ისრაელისნი შეკრებილიყვნენ! ვერ შემამჩნიეს, და გავიგანე: როგორის ზაკით მხამთ იესოსი სრულად აღკვეცა!!  
**იოანა.** ღმერთო ძლიერო!

**პროკ.** რით დამისახურა ესრეთ სასჯელი?!

**იოსებ.** პრეტორიაში მას მოიყვანენ!.. მოგხსენება, მშვენიერო, მფარველო ჩემო, მხოლოდ შენს ქმარსა აქვს უფლება სიკვდილ-სიცოცხლის განაჩენისა. მაშ შენ ხელთ არის ამიერიდან იესოს ბედი... ყოველსა ამას პროკურატორსა შეატყობინებ და თანაც დასძენ, რომ მხოლოდ ზაკით, ქიშპით, სიავით აქ მოქმედებენ და პირნათელი სურსთ სიკვდილს მისცენ! შენი მეტხედრე რომაელია და ვერ მოითმენს, რომის კანონთა ქეშმარიტება შებღალულ იყოს!  
**პროკ.** დღესვე გადავსცემ, რაც აქ შევიტყე.

**იოსებ.** მზე კიდევ ჩადის. ოყავ მშვიდობით! მიიღე ჩემგან გამოსალმება!

**პროკ.** დამე ნებისა. თუ რამ ახალი სცნო იესოზე, პირდაპირ ჩემთან, პრეტორიაში—მოხვალ—მაუწყებ!

**იოსებ.** (მამაყადო) მშვიდობა შენდა!  
**გამოსვლა მეათე**

**პროკ.** ურიასტანში პილატეს ყოფას არა ვნატრობდი. შიშითა ვკრთოდი: ველურ ქვეყანად, ველურ ხალხთ შორის მიჩნდა მე თავი. მაგრამ აქ შევხვდი მშვიდ, წყნარ იოსებს. იმასთან ერთად შენც იოანა!.. და ორნივესთან სანატრელი მაქვს განწყობილება!.. მაგრამ არ მესმის მხოლოდ ერთი რამ: რითი მოგხიბლათ თქვენ იესომა, გალილიედან მოსულ მოძღვარმა. აჰ, ჩემო დაო, დღეს შენც ეღირსე იმისსა ხილვას! ნუთუ არ იგრძნე მიმზვიდელობა სახე ცხოველის?

**პროკ.** აჰ უნდა გავკვეთ მხოლოდ გულ-გრძნობას გონებით-განსჯით მწიადს განვიხილო, თუ რა გრძნებებით მოიბირიებს! საიდან არის? ვინ არის დედა?.. სადა ჰყავს მამა?.. რა გესმა მათზე?

**იოანა.** ქალაქ ნაზარეთს მცხოვრებნი იყვნენ! კარგა ხანია რაც მამა მოკვდა, ამბობენ, იყო მეფე დავითის შთამომავალი, ღარიბი ფრიად, ვინმე დურგალი, ასწავა მასაც იგივე ხელობა... მამისა შემდეგ ყრმა მისი შვილი დედას არჩენდა თვისის შირობითა!!

**პროკ.** თუმცა დიდ მეფეთ შთამომავალი, ღარიბი ვინმე... შეუშნეველი რის ძალით მეფობს ირგვლივ ყველაზე?

**იოანა.** გულთამბილავი არის მოძღვარი... ხეაშიადისა დაფარვა მისგან არ არს შესაძლო! აღჟურვილია სასწაულოთმოამქმედ დიადის ძალით!

**პროკ.** ბევრჯელ მსმენია შენგან, კეთილო, სასწაულებზე. ეს არა კმარა ჩემი რწმენისთვის! რომ შიკ ყოფილან გრძნებით მკურნალნი. მაგრამ განავრძე. დედის სახელი ახლა ახსენე, იცნობ-კი იმას?



იოანა.

დიდი ხანია!

ბედნიერიც ვარ. არ სუფევს ქალი მის შესადარი! ვით გაზაფხული ოდეს ბუნება იჩქარის თვისი მომხიბვლელობა გამოაფინოს, ოდეს ჰაერში საამო სითბო დატრიალდებო... როს აყვავებულ მინდვრებით სიო, სურნელოვანი, მობერავს ნახად და ბულბულთ სტვენა ველებს, მთებსა, ბუჩქნარ გორაკებს მყის ეფინება... ისრე მარიამ აღსავეს არის ყოვლის ღირსებით!.. თითქოს ყოველი სიწმიდე სულის, ღმობიერება, ფაქიზი გული, სინათლით მსგავსი უღრუბლო დიდის სიწყნარითა მთვარისა სადარი ყოველი კეთილი, უბიწოება მტრედთა მაგვარი... უცოდველობა თვით ზამბახისა... ყოველივე ეს შესისხლხორცებულ აქვს მარიამსა. და ამიტომაც, ფრთოსანი ვინმე, არსება ცისა, მოჰფრენდა მასთან და ახარებდა თვით იესოს დაბადებასა!

პროქ.

ვინ გამოიცნობს!

უფრო ბედნიერს რომელს დასახავს? დედას ასეთი ძისა მშობელსა, თუ შევილსა ესრეთ დედის პატრონსა? მხოლოდ მე მაინც მზათა ვარ სმენად მისი მოძღვრება რას შიგან სუფევს?

იოანა.

სინანულისკენ იწვევს იგი ხალხს და ასწავის: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა განცებითა შენითა.

გიყვარდეთ მტერნი თქვენი, და კეთილსა უყოფდით მოძულესა თქვენსა!“ სასუფეველსა ზეციურს უვის ყველა დაჩაგრულ, ყოველ უმწეოს...

„ნეტარ ხართ გლახანნი სულითა, რამეთუ თქვენი არს სასუფეველი ღვთისა!“ და იმათ ვინცა, მისთვის წვალობენ, იღვენებთან, ასე ეუბნის:

„გიხაროდენ მას დღესა შინა, და მხიარულ იყვენთ, რამეთუ ესერა სასყიდელი თქვენი მრავალ არს

კათა შინა“!!.

პროქ.

წვეთ-წვეთად შენი სიტყვანი ხვდებო ჩემს სულსა და გულს. ტკბილი გრძნობებიც მუნ ილვიძებენ! რალაც მშობლიურს ჰანგებსა ვისმენ—მიხარის, ვლადობ და ნეტარების სიმთა ჟღერას ვგრძნობ მსგავსად დედისა იავ-ნანინის!

(შორით ქაღაჭიდან ჯერ დაბლად და მერე თანდათან მადლად მოისმის გაღობა ქრისტეს მოწაფეთა. შედამდა კადეც)

(შემდეგი იქნება)



დამსახურებული სტენის მოყვარე  
გ. ჯ ა ბ ა უ რ ი .

### ქართული სახალხო თეატრის ისტორია

სახალხო თეატრს დღევანდელ ცხოვრებაში, მეტადრე ჩვენ დაბეჭავებულ ღარიბ ხალხისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს და ერთ უმთავრეს კულტურულ დაწესებულებად ითვლება.

იგი შედგება ქართული თეატრის დაარსების და აღორძინებისა. თუ როგორ დაარსდა და განვითარდა ქართული თეატრი, ამას თავის ისტორია აქვს. ვიტყვი მხოლოდ, რომ 1879 წ. 5 სექტემბერს, როდესაც ქართული თეატრის საძირკველი სამუდამოდ ჩაიყარა, შესდგა დრამატული საზოგადოება მისის გამგებელი კომიტეტით, სამუდამო სტენაზე გამოჩნდა სამუდამო დასი და პირველად ითამაშა კნ. ბარბარე ჯორჯაძის პიესა „რას ვეძებდი-რა ვპოვე“. მას შემდეგ ქართულ თეატრში წარმოდგენები აღარ შეწყვეტილა.





რაკი წარმოდგენები ცოტა თუ ბევრად სისტემატიურად დაიწყო, ქართველ საზოგადოებასაც შეძლება მიეცა მუდმივ თეატრში სიარულისა. ქართულ თეატრს გაუზრდენ თავისი პატივისმცემლები; ხალხის გულში დაიბადა სცენისადმი სიყვარული და მის მუშაკთა პატივისცემა.

როგორც ყოველი ახლად დაწყებული საქმე თავდაპირველად სუსტი და უფერულია, ისევე სუსტი და უფერული იყო პირველად კერძო სახლებში გამართული შინაური წარმოდგენები, მაგრამ თანდათან განვითარდა, ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, დაარსდა სცენის მოყვარეთა ამხანაგობები ქალაქის სხვა და სხვა კუთხეში, და, ბოლოს, ბევრი წვალეზის და ვივაგლახის შემდეგ, უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო.

როგორცა ესთქვეით, ქართული თეატრის ისტორია უკვე ცნობილია, მაგრამ როგორ დაიწყო სახალხო წარმოდგენები, სად, როგორ და ვისგან ჩაეყარა საძირკველი ქართულ სხალხო თეატრს, ეს ჯერ კიდევ ბევრისთვის გაურკვეველია. ჩვენი მიზანია, შეძლებისა და გვარად, პასუხი ვუგოთ ამ კითხვებზე.

**გ. ჯაბაური**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



**ქართველ მხარალთა წერილები**

ილია ჭავჭავაძე

(იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 8 და 9)

აი რამ გამოიწვია ჩემსა და „ივერიის“ რედაქციას შორის უსიამოვნება, ინტელექტი დიდებულადამანთანს, რომელსაც დღემდე ვხსნათ:

1887 წ. მაისში „ივერიის“ № 92-ში დაიბეჭდა ჩემი ფელეტონი „რამე-რუმე“ (წერილი-წერილი ამბებში). ამ ფელეტონში, სხვათა შორის, მოყვანილია შემდეგი სტრაქონები: „სხალ ტფილისში რომ „ჭიო კვიციანს ჰოეზია“ დაიბადა და ქუჩა-ქუჩას ხოტბას გაიძახინა კვიციანისას რაჰკელი მესტერიეები, განა ჩვენში, ამ ჩვენს დაღვრულს გორში, „ქართლის მეთაურში“, ღადრ ივთხავთ, თუ რა ჰოეზია დაიბადა? ჰქმ! ფას „ჭიო კვიციანს ჰოეზია“ და ათასი სხვებიცა. გორულს ლექსის „ქალ-ვაჟიანს“ ეუკლა ჰოეზია ენაცვალას“.

ჯერ კარგად არ ვიყავით არც მე და არც სხვანი კაცნობილი ამ ჰასქვიდთან, რომ სათანადოდ დაშვებო და გამოეცხა და ამიტომ მხოლოდ ოდნავ გავკენწლეთ ის ჰასქვიდი. კავიდა მისი, თიბათუე, უუკლას დაკავიეუკა ჰასქვიდიც და მისი უღირსი ზეტრინც.

ვნსხოთ, მამდის ანტონ ფურცელაძესგან გესლდინა წერილი, რომელმაც სპისინლად ამაღლევა და ისე გამაჰკლას, რომ აღარ ვიცოდი, რა შექმნა. ანტონის წერილი, ივნისის 30-ით 1887 წ. დათა-რღიბუღიდა, მთვლიე იველისის სპსში. აი რას მწერდა ანტონი:

„სოფრონი! ყველა რომ წარმომედგინა, მავას თავის დღეში ვერ წარმივიდგენდი, რომ შენ არამც თუ ჩემსა და იმ შენსა და ჩემს მეგობარზედ იმისთანა სანიზღრებას, რომელსაც მხოლოდ კუხელი კადრულობს, განხილი ლიტერატურის საგანგაშოდ, და თვით უკანასკნელს პირებზედ, შენს მოსისხლემ მტრებზედაც კი მისიკმელი შენს კალმას ნებას, რომ გელაპარაკნა მწერლობაში კი არა, თვით ისრე გარეშეთაც. შენ აწვდი ხელს შენსა და შენი ცოლშვილის დამბეზღებლეს, შენ ხდი ქვეყნის სალაპარაკოთ,—ჩემზედ არას ვიტყვი რაც კავშირი იყა ჩვენ შორს,—იმ ოჯახს, იმ პირთ, რომელთაც შენ და რომელნიც შენ ერთმანერთის უკეთეს მეგობრათ სვლილიდით. დღეს, აქ ბანკში მიაკციეს ჩემი ყურადღება შენს ფელეტონზედ.“

„ჯერ რომ სულწინადვილიც ყოფილიყო, ან, მაშინ, დაფიქრდი, რა მნიშვნელობა ექნებოდა ამას ლიტერატურისათვის, თუ არ პირად ბრახისა და გესლის ყრა.“

„რომ ჩვენს მწერლობას მანდამდის მივალწვივინოთ, ვებეზოდეთ ერთმანეთის ცოლეებისა და დების ნამუსს, სად მივიყვივანს, ჩემო სოფრონი, ესა? სად მიიყვივანს თვით ჩვენი მწერლობის საქმესა, ჩვენი მწერლობის იღვალს?—ამაზედ დავავიწყდა დაფიქრება.“

„ძალიან და ძალიან სამწუხაროა, რომ შენ, სოფრონიზედ, რომელსაც ჩვენთაგანი ყველა უტყპირის როგორც ნიჭის პატრონს, აქვს ყველა ჰორებს განვლენა და ამ ჰორებს ეძლევა ლიტერატურული ხასილითი.“

„ჰეშმარტათ, რომ უთურგაულის საქმეების აქეთ ამგვარი წყენა ჩემს გულს არ მოჰყენებია. როცა კუხელი და მსვადენი ჩადინა, საწყენოთ არ მიმანინა, მაგრამ ამას ჩადის სოფრონი!!“

ანტონ

30 ივნისს.

(უთურგაულის შესახებ შექმნება ღაზარაკი, როცა მარიამ დემურიაზე დაუსწერავ მოგონებასა. არც ამ საქმეშია მართალი ბ. ანტონ ფურცელაძე).

ამ წერილს თან მოჰყუვა გორს ან. ფურცელაძე ვაჟუც ამ დროს მათე კერესეჟიდიისას, რომელდაც ჰიეისის რეპეტციცა გეჰქონდა. შეგვექნს ღაზარაკი ჩემი

ფელეტონის გამო, მისაყვადურა; ჩვენ ეველას გაგვიკირდა, დავიწვებუდინ იყო გორში იმ ზასქვილის ამაგი. ვინ ჰხვდა ზასქვილის ავტორს სხეში, დმურთმა უწყოდა. ანტონს კი საიდანხან და რეგორდან სხვა ხაირად გაგვო და აესხსა. მისვე ილია გაესელებინა ჩემს წინააღმდეგ. რაცა ჩვენთან ზინადად დაზარაით დარწმუნდა, რომ იგი მოტყუებულის, რომ შე არც იგი მუოდაი და არც სუფარელი ადამიანის სხელობა სხეში, რომ შე არ შეიქაინა ზასქვილი, ზირაქით დავგვე იგი, მასინ მითხრა ანტონმა: მამ ესევე მისწერ რედაქციას წერაილი, თორემ შენ წინააღმდეგ წერაილი და დაბეჭდებო. იმ წუთასვე მოვითხოვე ქაღალდი და კერესელიძის სხეშივე დავსწერე შემდეგო წერაილი.

*ა. ივანიშვილი*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



**წ ვ რ ი ლ ი ა მ ა ზ ი ბ ი**

**ს ა მ ო მ ლ ო შ ი**

➔ **ხანდრო შანშიაშვილის მიერ** გერმანულიდან ნათარგმნი გეტეს „ფაუსტის“ შესავალი უკვე მიიღეთ. ამ მოკლე დროში დაბეჭდეთ.

➔ **მსახობი ნ. გვარამე**, ბაქოს დასის რეჟისორი, ჩამოვიდა ბაქოდან და გარეთ კახეთს აპირებს გამგზავრებას წარმოდგენების გასამართავად.

➔ **„სინათლე“ რუსულად** სთარგმნა ლექსად ნ. მ—მ. როგორც გადმოგვცეს, პიესა საუცხოვოდაა ნათარგმნი.

➔ **„ახალმა კლუბმა“** საზაფხულო სეზონი ქართულ თეატრის სახამთრო შენობაში დაიწყო 29 აპრილს კონცერტი; კონცერტში მონაწილეობდა 60 კაცი ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. კონცერტმა დამსწრე საზოგადოებაზე კი შთაბეჭდილება მოახდინა.

➔ **დამხასურებული მსახობი კ. მეხის** ფილტვების ანთებით მძიმედ ავად გახდა.

➔ **რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები:** 1) ი. კერესელიძის გამოცემანი: ა) „ისტორიული სურათები“, დ. ჯანაშვილისა, ავტორის სურათ-ბიოგრაფიით (IV-285 გვ.), 75 კ.; ბ) „ელგუჯა“, ალ. ყაზბეგისა, სრულად დაბეჭდილი, ავტორის და ვაჟაფშაველას სურათით, 186 გვ. ფ. 40 კ. 2) „სორაპანის“ გამოცემანი: ა) „სრული საშარელო“, ბარ. ჯორჯაძისა, ფ. 1 მ. ყლით 1 მ. 40 კ.; ბ) გიოღე მოპასანი“, 349 გვ., ფ. 1 მ.; 3) ქ. შ. წ. კ. ს. კიათურის განყოფილების გამოცემა: „ასტრონომია“, ივ. გამართლისა სურათებით, 61 გვ. ფ. 20 კ. ყველა წიგნი სუფთად და კაპწაიდაა გამოცემული.

➔ **მომავალ სეზონისთვის რეჟისორებად** ქართ. დრამ. საზ. გამგებამ მოიწვია მ. ქორელი (ქორიძე) და ალ. წუწუნავა. დასმულ ჯერჯერობით მოწვევული არიან: ნინო ჩხიძე, ტაოს აბაშიძე, ელ. ჩერქეზიანი, პიერეტა, ნ. ჯავახიშვილი, ან. ქიქოძე; ვასო აბაშიძე, კ. მეხის, ალ. იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, ალ. ყალაბეგოშვილი.

ს. გლახაშვილმა დასწერა ახალი პიესა „ცხოვრება“, 3 მოქ., წარმოდგენის ნებაც უკვე დართო მეფის მოადგილის საპაროველომ.

➔ **უმალღესი ნებართვა სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის მოსაწვევად** ქართ. დრამატ. საზ-ის გამგებამ უკვე მიიღო. ყრილობის მოწვევა განზრახულია 25 მაისისათვის.

➔ **მსახობი ვ. მატარაძე**, რომელიც შიოვეციხულ სახლის ჩამონგრევის დროს დაზიანდა, ამ ეამად დიდ გაჭირვებას განიცდის უსახსრობისა გამო.

➔ **თავუნას იუმორისტული საღამო** გაიმართება 22 მაისს ქართულ თეატრში.

➔ **ტრ. რამიშვილს რუსის მსახობმა გორიანიოვმა** შემოუთვალა, პიესა „შეშლილი-ს“ სურათები რუსულს ჟურნალში ენახე, განზრახვა მაქვს რუსულად გადმოვთარგმნო და თუ თანახმა ხართ, გაცნობებთ, თბილისს როდის ჩამოვიდე, რომ თქვენის დახმარებით ვსთარგმნოვო.

➔ **ჰამსუნის პიესა** „თამარ მეფე“ ქართულად სთარგმნა გ. მღერაძემ.

➔ **კომუნისტულ მოძრაობის შესახებ მოხსენებას** წაიკითხავს ლ. ცვაგრელი დღეს 11 მაისს ქ. გორში მეხილეთა დამფუძნებელ კრებაზე.


**რუსთა შორის**

➔ **დრამატურგ-მსახობი ალ. სუმბათაშვილი (იუთუნი)** სწერს ახალ დრამას იტალიის ცხოვრებიდან. დრამაში დაპირდაპირებულია ორი დიდებული მხატვარი—მიქელ ანჯელო, ხელოვნებაში ერთნაფი ტენდენციების მატარებელი, და რაფაელი—საერთო კულტურულის მატარებელი. გამარჯვება რჩება უკანასკნელს. დრამატურგის ახლოს მცნობნი ვადმოგვცემენ, პიესას ავტობიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს—მასში სუმბათაშვილის საკუთარი გამართლების ძიებაა.

**ავადმყოფ მსახობიქალის დესინე ივანიძის სასარგებლოდ ბ. რედაქტორო!**

გიგზავნი **3 მან.** გთხოვთ გადასცეთ სცენის უბედურს აზნაზგას დესინე ივანიძისას, ამასთანავე ფრიად მოცუბს ქუთაისის ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგებობის საქციელი, დადავებულ მსახობიქალის შესახებ, რომელსაც ულუკმაპუროდ სული ჰხდება ქუჩაში.

**მსახობი ი. ივანიძე**





იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით. შურნალში დაიბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დახასიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სჰეკუნციერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი. შურნალს სკანკეპო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰეკეს რუსეთს და სახლგარკრედ. შურნალში თანამშრომლებუნ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მეცისნი და მხატვარ-ხელოვნანი.

შურნალის ფასი: წლიურად—5 მ., (წლის დამლევამდე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ.. თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელისმწერა მიიღება: ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტარაში და იოსებ იმედაშვილთან („სრამისი“ სტამბაში) დილით 10—2 საათამდე, სადამის 5—7 საათამდე. წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифლისь, ред. жур. „Театри да Цховреба“ იოსიფ იმედაშვილი.

შურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი № 15-41 რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის.

წელიწადი მეთხუთხე თეატი წელიწადი მეთხუთხე

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ბამოლის ორშაბათობით

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ 2 საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთხებულნი იქნება პაპაქის პიესა „რაზა-ლინჩეში“, რაკე-ლინჩეში მოსი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) ნ. ა. დუბროვსკის თხულებას „ბმ-გუსტ ბეგელი“, რომელიც საკუთრად „თეში“-სთვის არის დაწერილი.

ხელისმწერა მიიღება „თეში“-ს რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძის, № 4).

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღია ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 სათამდე.

მისამართის გამოცემა თბილისს გარეშე 40 კ. მისამართი: Тифლისь, Ольгинская № 4, д. Диасамидзе, редакция газ. „Теми“.

რედ.-გამომცემელი გრ. დიასამიძე

იმერეთი ყოველდღიური საპოლიტიკო-საღიგნო გაზეთი

ახალი რედაქციათ და თანამშრომლებით წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით 4 აბაზი, ცალკე ნომერი—5 კ.

საზღვარ გარედ წლიურად—15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაკვ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილნაწილადც შეიძლება. მისამართი: Кутаისь, ред. газ. „Имерети“.

რედაქტორ-გამომცემელი გ. კელიძე

ბამოლის ჟუთისში ვ მარტიდან ორშაბათობით

სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის ლა 5. კარნაუნოვის სტამბის სადგომში.

გაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარედ ორჯერ მეტი. ფული და წერილები მიიღება: Кутаისь, ред. еженед. груз. газеты „Шрома“.



**ექიმი ა. ო. იაფვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლ ნა-  
წილის მეურნალი)  
შინაგან ავადმყოფობათა.  
დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.  
წყნეთის ქ., № 19.

**ექიმი ა. ნ. დინასამიძე**

(ორდინატორი თბილ. სარკინის  
გზო საავადმყოფოსი)  
კანის, ვენერული და ათაშხვისა  
შუადღით 1—2 1/2 ს., საღამოთ 6—8 ს.  
მოსკოვის ქ. № 4.

**ექიმი ივ. ზ. გომარეთელი**

შინაგან ავადმყოფობათა  
დილის 8—12 ს.,  
საღამოთი 5—7 ს.,  
ოლგას ქ., № 20,  
ტელეფონი № 6—33.

**კბილის ექიმი**

**ექიმი ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს  
დილის 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.  
გოლოვინის პრ., № 12

**ექიმი ვ. ღ. ღამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.  
ვარდის უბნის ქ. № 9.

**ექიმი ვ. ზ. მაღალაშვილი**

შინაგან ავადმყოფობათა  
დილით 8—10 ს.  
ოლგას ქ. № 39.

**ექიმი ნ. ე. თიქანაძე**

(თბილისის საქალაქო მეურნალი)  
შინაგან სნეულებთა  
დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს.  
კიროვნის ქ. № 18.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ.  
საღამოთი 6—7 ს.  
მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16

**ექიმი ვ. ვ. ნათიშვილი**

ვენერ., კანის, და სხვადასხვა ორგ. სნეულ.  
დილით 11 1/2—1 ს., საღამოთი 6—7 ს.  
მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.



ხელოვნურად სამკურნალო და

შეზავებული ხილეულობის წყალი

**ვიტროფანე ლალიძე დამ.**

მზადდება საუკეთესო ხილეულის წყნისაგან. წმინდა შა-  
ქარით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდნი-  
ლი და ნადუდი წყლით.

გამო და სუნი საამუშაო აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსების-  
თვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობი-  
ლია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურ-  
ნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარნები იმყოფება; თბილისში—გოლოვინის პროსპ.  
№ 6, ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პეტროვის ქ. № 5.  
(10—9)



**ექ. ვახსტანგ ღამბაშიძის  
სანატორიუმი**

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე  
ქალ-ვაჟთათვის 8—5 წლამდე  
დაწვრილებით პირობები მსურველთ  
გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნი-  
ლებისათანავე.

მისამართი: თბილისი ექ. ვ. ღამბაშიძე  
ვარდისუბნის ქუჩ. № 9

**Воспоминанія**  
И  
ХАРАКТЕРИСТИКИ  
Г. М. ТУМАНОВА

3-хъ вып. Цѣна кажд. вып. 75 к.  
Складъ у автора, Барятинская № 6.

(5—3)